

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა

ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში

ბათუმი 2020

კვლევის მიზნები და ამოცანები

კურსდამთავრებულთა კვლევა არის რეტროსპექტიული ხედვა სამიზნე ჯგუფის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ, ასევე შედეგების შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს სისტემატურ ანალიზს იმ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ცვლილებების (პოზიტიური ან ნეგატიური; დაგეგმილი ან დაუგეგმავი) შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში დასაქმების კუთხით. კურსდამთავრებულთა კვლევა საუკეთესო საშუალებაა სწავლების გრძელვადიანი შედეგების გაზომვის, შეფასების და აღწერისათვის. კვლევა გვადლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპთან (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა) მიმართებაში.

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნებს წარმოადგენს:

- იმ ცვლილებების გამოვლენა რასაც ადგილი ჰქონდა სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში;
- იმის განსაზღვრა შეუწყო თუ არა ხელი საგანმანათლებლო დაწესებულება პროგრამების აღნიშნული ცვლილებების განხორციელებას.
- დასაქმების ეფექტურობის შეფასება.

კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანები

- კურსდამთავრებულთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლებლით კმაყოფილების შესწავლა;
- კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული გეგმების შესწავლა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე კურსდამთავრებულთა განათლების დონის იდენტიფიცირება.
- კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/ თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება; დაუსაქმებლობის შემთხვევაში უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
- დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაო პირობებით კმაყოფილების შესწავლა;

- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირის გამოვლენა;
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;
- კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება;

კვლევის მეთოდი

კვლევა ჩატარდა პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ - Google Forms მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი. 2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 67 კურსდამთავრებული.

ძირითადი მიგნებები

გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია სასწავლებლით, რომელშიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა. კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა 98.5% აცხადებს, რომ ახლა რომ აბარებდეს იმავე სასწავლებელს აირჩევდა, მხოლოდ 1.5% აღნიშნავს, რომ არ აირჩევდა იმავე სასწავლებელს, ხოლო გამოკითხულთა 97% კმაყოფილია პროფესიული პროგრამით (აირჩევდა იმავე პროფესიას).


დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 53.7%, აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა სრულად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია მიღებულ პროფესიასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 34%-მა, ხოლო 34%-ს სწავლის დასრულებამდე უკვე ჰქონდა ანაზღაურებადი სამუშაო (აქ მოიაზრებიან ის ადამიანებიც, რომლებმაც სწავლის პროცესში დაიწყეს მუშაობა). შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების მომენტისთვის გამოკითხულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 68%-ს შეადგენდა.

გამოკითხული კურსდამთავრებულების განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვების მიხედვით.იხ. დიაგრამა #1

- 2017 წლის საშემოდგომო მიღება (27.11.2017) - გამოკითხულია 50 კურსდამთავრებული (74.6%)
- 2018 წლის საგაზაფხულო მიღება (30.05.2018) - გამოკითხულია 16 კურსდამთავრებული (23.9%)
- 2018 წლის საშემოდგომო მიღება (29.11.2018) - გამოკითხულია 1 კურსდამთავრებული (1.5%)


დიაგრამა #1: პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის წელი



გამოკითხული კურსდამთავრებულების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. იხ. დიაგრამა #2.

- ვებ - ინტერფეისის დიზაინერი (III საფეხური)
- ვებ - ინტერფეისის დეველოპერი (III საფეხური)
- მეფუტკრე (III საფეხური)
- ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებელი (III საფეხური)
- ფარმაცევტის თანაშემწე (IV საფეხური)
- არქიტექტორ - ტექნიკოსი (IV საფეხური)
- ბიბლიოთეკარი (IV საფეხური)
- ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგი (V საფეხური)

დიაგრამა #2. გამოკითხული კურსდამთავრებულების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.



ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 32.8%-ს (22) უვადო სამუშაო ხელშეკრულება აქვს, 9%-ს (6) 1 წლამდე, 6%-ს (4) 1-იდან 3 წლამდე, ხოლო 16.4% (11) აცხადებს, რომ სამუშაო ხელშეკრულება არ აქვთ.

ამჟამად დასაქმებულ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 56.8% აცხადებს, რომ სამსახურით კმაყოფილი არიან, ხოლო სამსახურით ნაწილობრივ კმაყოფილია ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 11.9.5%.


იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სთხოვდნენ შეეფასებინათ მათი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნები. ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 71.6% აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია; 9% აღნიშნავს, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული მათ სამუშაოსთან, 4.5% ამბობს, რომ მათი კვალიფიკაცია უფრო მაღალია, ვიდრე სამუშაოს მოთხოვნები, ხოლო 13.4% აცხადებს, რომ არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვთ.

გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 32.8% აღნიშნავს, რომ სწავლის გაგრძელებას გეგმავს, 16.4% აცხადებს, რომ არ გეგმავს სწავლის გაგრძელებას, ხოლო 50.8%-ს ჯერ არ გადაუწყვიტავს გააგრძელებს თუ არა სწავლას. იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სწავლის გაგრძელებას გეგმავენ, ვკითხეთ თუ სად გეგმავენ სწავლის გაგრძელებას. იკვეთება, რომ მათი 13.4% სწავლის გაგრძელებას გეგმავს ბსუ-ს სხვა პროფესიულ პროგრამაზე. 19.4% უმაღლეს სასწავლებელში.

კვლევის შედეგები


პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის 2020 წლის იანვარ-მარტის თვეში გამოიკითხა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2019 წლის კურსდამთავრებულები. საერთო ჯამში გამოიკითხა 67 კურსდამთავრებული. გამოკითხულთა 20.9% (14) კაცია, ხოლო 79.1% (53)- ქალი. იხ. დიაგრამა 3.

დიაგრამა #3: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება სქესის ნიშნით




გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 45% (30) 21-25 წლის, 27% (18) 31-41 წლის, 10% (7) 41-45 წლის, 7% (5) 26-30 წლის, 6% (4) 15-20 წლის, 3% (2) 46-50 წლის, 2% (1) 60 წელზე მეტის, ხოლო 51-60 წლის არცერთი. იხ. დიაგრამა #4.

დიაგრამა #4: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება ასაკის მიხედვით




გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 4,5% (3) სოციალურად დაუცველი პირია, 1,5% (1) იძულებით გადაადგილებული პირი, არცერთი არ შექსაბამება 43.3 % (29), სხვა 50.7 % (34), ხოლო შშმ და სსსმ არც ერთი. იხ. დიაგრამა #5.

დიაგრამა #5: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება სოციალური სტატუსის მიხედვით



პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ძირითადად საშუალო განათლების მქონე ადამიანები აბარებენ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 28,4%-ს (19) - უმაღლესი განათლება, 22,4%-ს (15) პროფესიული განათლება, 41,8%-ს (28) საშუალო განათლება (12 კლასი), 4.5 % (3) საშუალო განათლება (11 კლასი), ხოლო 3%-ს (2) საბაზო განათლება (9 კლასი). იხ. დიაგრამა #6.

დიაგრამა #6: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე მიღწეული განათლების დონის მიხედვით




პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სოციო-ეკონომიკური პროფილის უკეთ შესწავლის მიზნით, კურსდამთავრებულებს ვკითხეთ თუ რას საქმიანობდნენ პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 56,7% აღნიშნავს, რომ პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში დასაქმებული იყო, 25,4% აცხადებს, რომ სწავლობდა, 13,4%- უმუშევარი იყო, ხოლო 4,5 % თვითდასაქმებული იყო. იხ. დიაგრამა #7.

იმისათვის რომ დავადგინოთ, რა როლს ასრულებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დასაქმების აღნიშნული მაჩვენებლის განხილვა რამდენიმე ინდიკატორთან მიმართებით, ესენია:


- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების მომენტისთვის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი - ეს უკანასკნელი 2019 წლის კურსდამთავრებულთა შორის 68%-ს შეადგენს;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უმუშევარ კურსდამთავრებულთა შორის რამდენი პროცენტი დასაქმდა პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პროცესში ან სწავლის დასრულების შემდეგ - სწავლის დაწყებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უმუშევარ კურსდამთავრებულთა 34% პროფესიულ პროგრამაზე სწავლის განმავლობაში ან სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმდა.

დიაგრამა #7: კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქმიანობის ტიპის მიხედვით




იკვეთება, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო კურსდამთავრებულთა 34%-ს (23), 34%-ს (23) სწავლის დასრულებამდე უკვე ჰქონდა ანაზღაურებადი სამუშაო, ხოლო 32%-ს (21) არ დაუწყია მუშაობა. შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების მომენტისთვის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 68%-ს იხ. დიაგრამა #8.

დიაგრამა #8: კურსდამთავრებულთა განაწილება სწავლის დასრულების მომენტისთვის დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით




იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყეს მუშაობა, (იგულისხმება ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზე სწავლაც 2019 წელს დაასრულეს), ვკითხეთ, რა ტიპის ორგანიზაცია იყო მათი დამსაქმებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები უმრავლეს შემთხვევაში საჯარო სექტორში საქმდებიან - 37% (25). სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 33% (22) კერძო სექტორში მუშაობს, 4% (3) სხვა ტიპის სექტორში, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობა 2% (1) არასამთავრობო სექტორში. იხ. დიაგრამა #9.

დიაგრამა #9: დასაქმებულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება დასაქმების სექტორების მიხედვით




ამჟამად დასაქმებულთა 43.3% (29) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით მუშაობს. დასაქმებულთა 10.4% (7) აცხადებს, რომ ისინი ნაწილობრივ მუშაობენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული სპეციალობით. იხ. დიაგრამა #10.

დიაგრამა #10: დასაქმებულთა განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული სპეციალობით დასაქმების მიხედვით




იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყეს, მაგრამ არა საკუთარი სპეციალობით, ვეკითხებოდით აღნიშნულის მიზეზს, მათგან 13.4% (9) აცხადებს, რომ აღნიშნულის მიზეზი პროფესიით ვერ დასაქმებაა, 6% (4) აცხადებს, რომ სამუშაო გრაფიკი იყო არადაამაკმაყოფილებელი, 6% (4) 4.5% (3) რომ სამუშაო საათები იყო არადაამაკმაყოფილებელი, 3% (2) აღნიშნავს, რომ ხელფასი იყო არადაამაკმაყოფილებელი, 3% (2) მიზეზად კვალიფიკაციის ნაკლებობას ასახელებს, 1.5% (1) სამსახური შორს იყო საცხოვრებელი ადგილიდან (1), ხოლო პროცენტულად დიდი მაჩვენებელი 68.6% (46) კონკრეტულ მიზეზებზე არ საუბრობს იხ. დიაგრამა 11.

დიაგრამა #11: გამოკითხულთა განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით ვერ დასაქმების მიზეზების მიხედვით




იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყეს მუშაობა ან სწავლის დასრულებამდე უკვე ჰქონდათ ანაზღაურებადი სამუშაო, ვკითხეთ შეიცვალეს თუ არა აღნიშნული სამსახური. გამოკვეთილი უმრავლესობა 56.7% (38) აღნიშნავს, რომ სამსახური არ შეუცვლია, 16.4%-მა (11) სამსახური შეიცვალა, 4.5% (3) სამსახურიდან წამოვიდა და მას შემდეგ არ უმუშავია, ხოლო 22.4%-ს (15) არ უმუშავია. იხ. დიაგრამა #12.

დიაგრამა #12: გამოკითხულთა პროცენტული განაწილება სამსახურის შეცვლის მაჩვენებლის მიხედვით




იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმდნენ ან სწავლის დასრულებამდე უკვე ჰქონდათ ანაზღაურებადი სამსახური, თუმცა შემდგომში ეს სამსახური შეიცვალეს, ვეკითხებოდით მიზეზს, რატომ შეიცვალეს სამსახური/წამოვიდნენ სამსახურიდან. იკვეთება, რომ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 1.5%-მა (1) სამსახური ხელფასის არაადამაკმაყოფილებლობის გამო შეიცვალა ან წამოვიდა სამსახურიდან; 9% (6) აღნიშნულის მიზეზად უკეთესი პოზიციის/თანამდებობის შეთავაზებას ასახელებს; 1.5% (1) სამუშაო გრაფიკის არაადამაკმაყოფილებლობას; 3% (2) აცხადებს, რომ სამუშაო საათები იყო არაადამაკმაყოფილებელი; 6% (4) აღნიშნავს, რომ სამსახურიდან წამოვიდა და მას შემდეგ არ უმუშავია. იხ. დიაგრამა #13.

დიაგრამა #13: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა განაწილება სამსახურის შეცვლის/სამსახურიდან წამოსვლის მიზეზების მიხედვით



გამოკითხულ კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა, 97% აცხადებს, ახლა რომ აბარებდეს იმავე პროფესიას აირჩევდა, ხოლო 3% აღნიშნავს, ახლა რომ აბარებდეს იმავე პროფესიას არ აირჩევდა. იხ. დიაგრამა #14.

დიაგრამა #14: კურსდამთავრებულთა განაწილება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: “ახლა რომ აბარებდეთ აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას”




იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც აცხადებდნენ: ახლა რომ აბარებდნენ იმავე პროფესიას არ აირჩევდნენ, ვეკითხებოდით აღნიშნულის მიზეზს. იკვეთება, რომ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 71.6% (48) იმავე პროფესიის არ არჩევის მიზეზს არ აკონკრეტებს, 6% (4) აცხადებს, რომ სხვა პროფესიით დაინტერესდა, 1,5% (1) ამბობს, რომ იმავე პროფესიას სწავლების დაბალი დონის გამო არ აირჩევდნენ, 1,5% (1) ამბობს, რომ იმავე პროფესიას პრაქტიკის კომპონენტის დაბალი დონის გამო არ აირჩევდა, ხოლო გამოკითხულთა 19.4% (13) აღნიშნავს, რომ იგივე პროფესიას აირჩევდა. იხ. დიაგრამა #15.

დიაგრამა #15: კურსდამთავრებულთა განაწილება შესაძლებლობის შემთხვევაში საკუთარი პროფესიის ხელახალი არჩევის სურვილის მიხედვით




კვლევის შედეგებიდან იკვეთება, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა, კმაყოფილია სასწავლებლით, რომელშიც პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა გაიარა. კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა 98.5% (66) აცხადებს, რომ ახლა რომ აზარებდეს იმავე სასწავლებელს აირჩევდა, მხოლოდ 1.5% (1) აღნიშნავს, რომ არ აირჩევდა იმავე სასწავლებელს. იხ. დიაგრამა #16.

დიაგრამა #16: კურსდამთავრებულთა განაწილება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: "ახლა რომ აზარებდეთ აირჩევდით თუ არა ბსუ-ს"




დასაქმებულ კურსდამთავრებულებს, ვეკითხებოდით, რომ ხელახალი შესაძლებლობის შემთხვევაში რატომ არ აირჩევდნენ ბსუ-ს. იკვეთება, რომ კურსდამთავრებულთა 74.6% (50) აღნიშნულის მიზეზს არ აკონკრეტებს. 1.5% (1) პრაქტიკის კომპონენტის დაბალ დონეს, 1.5% (1) სასწავლო რესურსების არ არსებობას, ხოლო 22.4% (15) ამის მიზეზი არ აქვს იხ. დიაგრამა #17.

დიაგრამა #17: კურსდამთავრებულთა განაწილება შესაძლებლობის შემთხვევაში სასწავლებლის ხელახალი არჩევის სურვილის მიხედვით




გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 38.8% (26) აღნიშნავს, რომ სწავლის გაგრძელებას გეგმავს, 14.9% (10) აცხადებს, რომ არ გეგმავს სწავლის გაგრძელებას, ხოლო 46.3%-ს (31) ჯერ არ გადაუწყვეტავს გააგრძელებს თუ არა სწავლას. იხ. დიაგრამა #18.

დიაგრამა #18: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება იმის მიხედვით გეგმავენ თუ არა სწავლის გაგრძელებას




იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სწავლის გაგრძელებას გეგმავენ, ვეკითხოვდით თუ სად გეგმავენ სწავლის გაგრძელებას. იკვეთება, რომ მათი 13.4% (9) სწავლის გაგრძელებას გეგმავს ბსუ-ს სხვა პროფესიულ პროგრამაზე, 19.4% (13) უმაღლეს სასწავლებელში, 50.8%-ს (34) ჯერ არ გადაუწყვეტია თუ სად გეგმავს სწავლის გაგრძელებას, ხოლო 16.4% (11) არ აპირებს სწავლის გაგრძელებას. იხ. დიაგრამა #19.

დიაგრამა #19: კურსდამთავრებულთა განაწილება იმის მიხედვით თუ სად გეგმავენ სწავლის გაგრძელებას




კურსდამთავრებულთა 55.2% (37) ამჟამად დასაქმებულია, 3% (2) თვითდასაქმებულია, 4.5% (3) პროფესიულ პროგრამაზე სწავლობს, 6% (4) უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, 6% (9) სტაჟიორია, ხოლო 19.3% (13) დაუსაქმებელია. იხ. დიაგრამა #20.

დიაგრამა #20: კურსდამთავრებულთა მათი ამჟამინდელი საქმიანობის მიხედვით




კურსდამთავრებულთა 49.3% (33) ამჟამად სწავლობს უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე. 38.8% (26) ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლობს, 9% (6) მაგისტრატურის, ხოლო 1.5% (1) დოქტორანტურის. იხ. დიაგრამა #21.

დიაგრამა #21: ამჟამად უმაღლეს განათლებაში ჩართულ კურსდამთავრებულთა განაწილება განათლების საფეხურების მიხედვით




იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც ამჟამად უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებენ სწავლას კვითხეთ პროფესია, რომელსაც ამჟამად ეუფლებიან არის თუ არა დაკავშირებული პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე მიღებულ სპეციალობასთან. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უმრავლესობა 16.4% (11) აცხადებს, რომ სპეციალობა, რომელსაც ისინი ამჟამად ეუფლებიან ნაწილობრივ არის დაკავშირებული პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამასთან, რომელზეც ისინი სწავლობდნენ. 11.9% (8) აცხადებს, რომ მათი ამჟამინდელი სპეციალობა არ არის დაკავშირებული იმ პროფესიულ პროგრამასთან, რომელზეც სწავლობდნენ. ხოლო 13.5% (9) აცხადებს, რომ მათი ამჟამინდელი სპეციალობა და პროფესიული პროგრამა, რომელზეც სწავლობდნენ ერთმანეთთან კავშირშია. იხ. დიაგრამა #22.

დიაგრამა #22: კურსდამთავრებულთა განაწილება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: "პროფესია, რომელსაც ამჟამად უმაღლეს სასწავლებელში ეუფლებით არის თუ არა დაკავშირებული პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე მიღებულ სპეციალობასთან"




გამოკითხულ დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 32.8%-ს (22) უვადო სამუშაო ხელშეკრულება აქვს, 9%-ს (6) 1 წლამდე, 6%-ს (4) 1-იდან 3 წლამდე, ხოლო 16.4% (11) აცხადებს, რომ სამუშაო ხელშეკრულება არ აქვთ. იხ. დიაგრამა #23.

დიაგრამა #23: დასაქმებულ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა განაწილება სამუშაო ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით



გამოკითხულ დასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 56.8% (38) აცხადებს, რომ სამსახურით კმაყოფილი არიან, ხოლო სამსახურით ნაწილობრივ კმაყოფილია ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 11.95% (8). იხ. დიაგრამა #24.


დიაგრამა #24: ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება სამსახურით კმაყოფილების მიხედვით



დასაქმებულ კურსდამთავრებულებს ვეკითხებოდით, თუ როგორ შეაფასებდნენ მათი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობას. ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 71.6% (48) აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია; 9% (6) აღნიშნავს, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული მათ სამუშაოსთან, 4.5% (3) ამბობს, რომ მათი კვალიფიკაცია


უფრო მაღალია, ვიდრე სამუშაოს მოთხოვნები, ხოლო 13.4% (9) აცხადებს, რომ არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვთ. იხ. დიაგრამა #25.

დიაგრამა #25: ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება მათი კვალიფიკაციის და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობის მიხედვით



გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 82.1% (55) აცხადებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული განათლება ხელს უწყობს სამუშაოს დაწყებას, 16.4% (11) მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი ნაწილობრივ უწყობს ხელს დასაქმებას, ხოლო 1.5% (1) მიიჩნევს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული განათლება დასაქმებას ხელს არ უწყობს. იხ. დიაგრამა #26.

დიაგრამა #26: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული განათლების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით



იმ რესპონდენტებს, რომლებიც ამჟამად დასაქმებულები არიან ვკითხეთ დაეხმარა თუ არა ბსუ დასაქმებაში. დასაქმებულთა 55.2% (37) აღნიშნავს რომ უნივერსიტეტი დაეხმარა დასაქმებაში. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 16.4% (11) აცხადებს, რომ მათ ნაწილობრივ დაეხმარა, ხოლო 26.9% (18) ამბობს, რომ არ დაეხმარა. იხ. დიაგრამა #27.

დიაგრამა #27: დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება იმის მიხედვით დაეხმარა თუ არა ბსუ დასაქმებაში

